



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/22

ქ. თბილისი

14 მაისი 2022წ

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების
პრინციპით მოქმედი "შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების სასწავლო
ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 14 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. შეიქმნას სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების სასწავლო ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი);
2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე